საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის

ბრძანება №ბ138.138260341

2026 წლის 3 თებერვალი

ქ. თბილისი

ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 26.34.01.408 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროსა და სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის, „ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის № 590 დადგენილებისა და „ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 26.34.01.408 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროსა და სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე” სსიპ – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის 2025 წლის 8 ოქტომბრის № ბ138.138252812 ბრძანების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს „ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 26.34.01.408 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროსა და სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმა“ (დანართი №1).

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსი **ზურაბი წიკლაური**